სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-02/121

ქ. თბილისი

8 ივლისი 2025 წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაფუძნებული სამეცნიერო პერიოდული გამოცემების დამტკიცებისა და სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-04/200 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უწივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნების და რეგისტრაციის წესი“ მე-13 პუნქტის შესაბამისად, სტუ-ის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს ოქმის №2 (30.06.2025 წ.), უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, პროფესორ თამარ ლომინაძის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 8 ივლისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ამ დადგენილების დანართით განსაზღვრული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაფუძნებული სამეცნიერო პერიოდული

გამოცემები და უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის მიერ განხორციელდეს მათი რეგისტრაცია სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რეესტრში (დანართი).

2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადერმიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

სტუ-ის სამეცნიერო პერიოდული გამოცემები

1. „საქართველოს საწარმოო ძალები და ბუნებრივი რესურსები“;
2. „სოციოპოლიტოLOGOS”